ფინანსური მდგრადობის ანგარიში (2023)

2023 წლის მონაცემებით შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ ბიუჯეტის 56% სკოლის პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას ეთმობა (მათ შორის, 473,087 ლარი ადმინისტრაციული პერსონალის, ხოლო 909,621 ლარი მასწავლებლების ანაზღაურება). წლის მანძილზე მოსწავლის ფორმების ღირებულებამ შეადგინა 93,647 ლარი.
სკოლას დღის მანძილზე გათვალისწინებული აქვს კვება მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის, კვების ბლოკის ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულმა ხარჯებმა შეადგინა 198,212 ლარი.
მოსწავლეთა მონაწილეობით სხვადასხვა სახის სასკოლო აქტივობების ორგანიზებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 11,330 ლარი, ხოლო მარკეტინგსა და პიარზე 58,983 ლარი
სკოლის პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებმა შეადგინა 19,200 ლარი, ხოლო ტრენინგების ხარჯმა 9,700 ლარი.
სკოლის შენობის იჯარის და სარემონტო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები შეადგენს 604,657 ლარს. კომუნალური გადასახადების სახით წლის მანძილზე გადახდილია 97,475 ლარი.



2023 წლის დეკემბრის მდგომაროებით სკოლაში ირიცხება 516 მოსწავლე. სკოლის შემოსავლები წარმოდგენილია სწავლის გადასახადის და სახელმწიფოსაგან მიღებული ვაუჩერული დაფინანსების სახით. სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 70% სარგებლობს სხვადასხვა სახის ფინანსური შეღავათით (თანამშრომელთა ოჯახის წევრები, ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი ბავშვი). გასულ წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 10%-ით. მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით, 2023 წლის მონაცემებზე დაყრდნობით სკოლა ფინანსურად მდგრადია.